



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 27231497

თარიღი:29/05/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 22

29 მაისი 2023 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.**
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 23 ივნისის ჩათვლით.**
4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2023 წლის 01**

ივლისამდე.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

მამუკა ბურდიაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

